



ეკონომიკა

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2024 წლის აგვისტოში საქონლის ექსპორტი წლიურად 30.0%-ით გაიზარდა და 641.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვეში დაფიქსირებული წლიური 29.9%-იანი ზრდის შემდეგ. ამასთან, იმპორტი წლიურად 4.8%-ით შემცირდა 1.3 მლრდ აშშ დოლარამდე, წინა თვის 11.2%-იანი ზრდის შემდეგ. შედეგად, აგვისტოში სავაჭრო დეფიციტი წლიურად 23.5%-ით შემცირდა 702.7 მლნ აშშ დოლარამდე.

ჭამურად, 2024 წლის იანვარ-აგვისტოში, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 3.8%-ით გაიზარდა და 6.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რადგან ექსპორტი 2.4%-ით გაიზარდა 4.2 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო იმპორტი 3.3%-ით გაიზარდა და 10.5 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2024 წლის მე-2 კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლიურად 10.3%-ით გაიზარდა და 574.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა კვარტალში დაფიქსირებული წლიური 69.9%-იანი კლების შემდეგ. აღნიშნული ზრდა განაპირობა სააქციო კაპიტალის და სავალო ვალდებულებების კომპონენტების გაზრდამ. ამასთან, აღნიშნულ პერიოდში რეინვესტიციის კომპონენტი წლიურად 8.9%-ით შემცირდა 451.3 მლნ აშშ დოლარამდე, თუმცა მისი წილი მთლიან ინვესტიციებში კვლავ მაღალია და 78.6%-ს შეადგენს.

2024 წლის მე-2 კვარტალში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა შემდეგ სექტორებში: საფინანსო და სადაზღვევო (300.1 მლნ აშშ დოლარი, +38.5% წ/წ), ვაჭრობა (79.2 მლნ აშშ დოლარი, -4.5% წ/წ), დამამუშავებელი მრეწველობა (55.5 მლნ აშშ დოლარი, +36.5% წ/წ) და უძრავი ქონება (47.2 მლნ აშშ დოლარი, +143.0% წ/წ). მე-2 კვარტალში უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ დიდი ბრიტანეთი (266.7 მლნ აშშ დოლარი), იაპონია (59.2 მლნ აშშ დოლარი) და მალტა (37.9 მლნ აშშ დოლარი).

ჭამურად, 2024 წლის I ნახევარში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლიურად 34.1%-ით შემცირდა და 768.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ის 5.1%-ია.

მონეტარული პოლიტიკა: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2024 წლის 11 სექტემბერს რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 8.0%-ზე დატოვა დაბალი ინფლაციური გარემოს მიუხედავად. სებ-ის ეს ფრთხილი პოზიცია ასახავს მაღალ გლობალურ ეკონომიკურ გაურკვევლობას, რამაც შესაძლოა ინფლაციური წნეხი წარმოქმნას. კერძოდ, მიმდინარე გეოპოლიტიკური დაძაბულობის ფონზე, მიწოდების ჭაჭვების და საერთაშორისო გადაზიდვების შეფერხებები გრძელდება. ამ კონტექსტში, ნავთობისა და სურსათის ფასების ტენდენციები გლობალურ ბაზრებზე რჩება უაღრესად გაურკვეველი, რაც იწვევს იმპორტირებული ინფლაციის გაზრდის რისკს. ამასთან, რეგულატორი ხაზს უსვამს მაღალ ეკონომიკური ზრდაზე, რომელიც მის პოტენციურ ღონეს აღემატება და ინფლაციურ რისკებს შეიცავს. სებ-ის განახლებული პროგნოზით, ინფლაცია 2024 წლის ბოლომდე დაბალ ღონეზე შენარჩუნდება და მიზნობრივი მაჩვენებლის გარშემო საშუალოვადიან პერიოდში დასტაბილურება. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2024 წლის 23 ოქტომბერს ჩატარდება.


გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

ეკონომიკური ინდიკატორები

| | 2023 | 2024F |
|---------------------------------|-----------|--------|
| რეალური მშპ-ს ზრდა | 7.5% | 8.0% |
| მშპ ერთ სულზე (ppp) | 23,344 | 25,373 |
| მშპ ერთ სულზე (აშშ \$) | 8,210 | 8,869 |
| მოსახლეობა (მლნ) | 3.7 | 3.7 |
| ინფლაცია (საშუალო) | 2.5% | 2.0% |
| საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$) | 5.0 | 4.8 |
| მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %) | 4.4% | 4.8% |
| ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %) | 2.4% | 2.5% |
| სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %) | 39.2% | 38.6% |
| Fitch/S&P/Moody's* | BB/BB/Ba2 | |


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტი & თაგარტი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

საქონლის ექსპორტი



წყარო: საქსტატი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით, 1H24



წყარო: საქსტატი



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2024 წლის 10 სექტემბერს 10-წლიანი 30 მლნ ლარის (11.1 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 3.1-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.622პპ-ით შემცირდა და 8.890% შეადგინა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2024 წლის 10 სექტემბერს 1-წლიანი 20 მლნ ლარის (7.4 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 3.5-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.060პპ-ით გაიზარდა და 7.738% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2024 წლის 17 სექტემბერს, სადაც 6.8-წლიანი 75 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2024 წელი

| ვალდებულება | გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი | დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი | დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი* |
|--------------|--------------------------------------|------------------------------|---------------------------------|
| 1 წლამდე | 410 | 120 | 360 |
| 1 წელზე მეტი | 2,095 | 925 | 8,394 |
| სულ | 2,505 | 1,045 | 8,754 |


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2024 წლის ივლისის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას



ობლიგაციები

ქართული ევროობლიგაციები

| გამომშვები | ვალუტა | მოცულობა, მლნ | კუპონი | გამომშვების თარიღი | დაფარვის თარიღი | რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope) | საშუალო ფასი | საშუალო პროცენტი, % | Z-spread, bps |
|------------------|--------|---------------|---------|--------------------|-----------------|------------------------------------|--------------|---------------------|---------------|
| GEORG 04/26 | USD | 500 | 2.750% | Apr-21 | Apr-26 | BB-/BB-/Ba2 | 94.29 | 6.57 | 301.55 |
| GRAIL 06/28 | USD | 500 | 4.000% | Jun-21 | Jun-28 | BB-/BB-/ | 90.11 | 7.05 | 384.16 |
| GEBGG 9 1/2 PERP | USD | 300 | 9.500% | Apr-24 | n/a | B-/B2 | 97.90 | 10.06 | 687.20 |
| SILKNET 01/27 | USD | 300 | 8.375% | Jan-22 | Jan-27 | BB-/B1 | 100.29 | 8.23 | 443.47 |
| TBC 10.775 PERP | USD | 125 | 10.775% | Jul-19 | n/a | B-/B- | 100.23 | 13.34 | n/a |
| TBC 8.894 PERP | USD | 75 | 8.894% | Nov-21 | n/a | B-/B- | 95.95 | 10.86 | 748.91 |
| TBC 10 1/4 PERP | USD | 300 | 10.250% | Apr-24 | n/a | -/B2 | 98.47 | 10.64 | 734.96 |
| CGEOLN 07/29 | USD | 300 | 8.875% | Jul-24 | Jul-29 | BB-/BB-/ | 101.86 | 8.40 | 510.19 |

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg

ქართული ადგილობრივი ობლიგაციები

| გამომშვები | ვალუტა | მოცულობა, მლნ | კუპონი | გამომშვების თარიღი | დაფარვის თარიღი | რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope) | საშუალო ფასი | საშუალო პროცენტი, % |
|-------------------------------|--------|---------------|--------|--------------------|-----------------|------------------------------------|--------------|---------------------|
| USD | | | | | | | | |
| Bakhvi Hydro Power | USD | 1.2 | 9.40% | Nov-17 | Nov-27 | -/-/- | n/a | n/a |
| Lisi Lake Development | USD | 12 | 6.50% | Dec-21 | Dec-24 | -/-/B+ | n/a | 6.75% |
| Georgia Real Estate | USD | 35 | 8.50% | Oct-22 | Oct-24 | -/-/- | 99.97 | 8.50% |
| Geo. Renewable Power Oper. | USD | 80 | 7.00% | Oct-22 | Oct-27 | -/-/- | 100.00 | 7.00% |
| Lisi Lake Development | USD | 10 | 8.50% | Dec-22 | Dec-24 | -/-/B+ | 99.99 | 8.50% |
| Geosteel | USD | 15 | 9.00% | Apr-23 | Apr-25 | -/-/- | 99.99 | 9.00% |
| Silk Real Estate | USD | 20 | 9.00% | Apr-23 | Apr-26 | -/-/- | 99.99 | 9.00% |
| Tegeta Motors | USD | 20 | 8.50% | Apr-23 | Apr-25 | -/-/BB- | 99.77 | 8.75% |
| Energy Development Georgia | USD | 10 | 8.50% | Jun-23 | Jun-25 | -/-/- | n/a | n/a |
| Georgia Capital | USD | 150 | 8.50% | Aug-23 | Aug-28 | -/BB-/ | 101.08 | 8.13% |
| Silk Real Estate | USD | 20 | 9.25% | Sep-23 | Sep-26 | -/-/- | 100.91 | 8.63% |
| Prime Concrete | USD | 7.5 | 10.50% | Sep-23 | Sep-27 | -/-/- | n/a | n/a |
| Austrian-Georgian Development | USD | 15 | 9.00% | Oct-23 | Oct-25 | -/-/- | n/a | n/a |
| MFO EuroCredit | USD | 10 | 9.50% | Dec-23 | Dec-27 | -/-/- | n/a | n/a |
| Geosteel | USD | 5 | 8.50% | Dec-23 | Dec-25 | -/-/- | 99.63 | 8.75% |
| IG Development | USD | 20 | 8.50% | Dec-23 | Dec-25 | -/-/- | 99.61 | 8.75% |
| Tegeta Motors | USD | 5 | 8.50% | Jun-24 | Jun-26 | -/-/BB- | n/a | 8.63% |
| Tegeta Motors | USD | 3.3 | 8.50% | Jun-24 | Jun-26 | -/-/BB- | n/a | 8.63% |
| IG Development | USD | 19.5 | 8.50% | Jul-24 | Jul-26 | -/-/- | n/a | 8.63% |
| Tegeta Motors | USD | 5 | 8.50% | Jul-24 | Jul-26 | -/-/BB- | n/a | n/a |
| MP Development | USD | 5 | 8.75% | Jul-24 | Jul-26 | -/-/- | n/a | 8.75% |
| JSC BasisBank | USD | 20 | 7.00% | Aug-24 | Aug-27 | -/-/- | n/a | 7.00% |
| Georgia Real Estate | USD | 25 | 8.50% | Aug-24 | Aug-26 | -/-/- | n/a | 8.50% |
| Chavchavadze 64B | USD | 10 | 8.75% | Aug-24 | Aug-26 | -/-/- | n/a | 8.75% |

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი



ობლიგაციები

ქართული ადგილობრივი ობლიგაციები


| გამომშვები | ვალუტა | მოცულობა, მლნ | კუპონი | გამომშვების თარიღი | დაფარვის თარიღი | რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope) | საშუალო ფასი | საშუალო პროცენტი, % |
|------------------|--------|---------------|----------------|--------------------|-----------------|------------------------------------|--------------|---------------------|
| EUR | | | | | | | | |
| Tegeta Motors | EUR | 5 | 7.00% | Apr-23 | Apr-25 | -/-/-/BB- | 99.77 | 7.00% |
| Tegeta Motors | EUR | 4 | 7.00% | Dec-23 | Dec-25 | -/-/-/BB- | 99.63 | 7.00% |
| Tegeta Motors | EUR | 7 | 6.75% | Dec-23 | Dec-25 | -/-/-/BB- | 100.37 | 6.75% |
| IG Development | EUR | 5 | 7.00% | Jan-24 | Jan-26 | -/-/-/- | 99.60 | 7.00% |
| Tegeta Motors | EUR | 10 | 6.75% | May-24 | May-26 | -/-/-/BB- | n/a | 6.75% |
| MP Development | EUR | 3 | 7.75% | Jul-24 | Jul-26 | -/-/-/- | n/a | 7.75% |
| Silk Real Estate | EUR | 7 | 7.00% | Aug-24 | Aug-25 | -/-/-/- | n/a | 7.00% |
| Chavchavadze 64B | EUR | 3 | 7.75% | Aug-24 | Aug-26 | -/-/-/- | n/a | 7.75% |
| GEL | | | | | | | | |
| Nikora Trade | GEL | 35 | TIBR3M + 3.50% | Nov-21 | Nov-24 | -/-/-/BB- | n/a | n/a |
| Nikora | GEL | 35 | TIBR3M + 3.50% | Nov-22 | Nov-25 | -/-/-/BB- | n/a | n/a |
| MFO MBC | GEL | 15 | TIBR3M + 4.50% | Dec-22 | Dec-24 | -/-/-/B | n/a | n/a |
| Tegeta Motors | GEL | 150 | TIBR3M + 3.50% | Dec-22 | Dec-25 | -/-/-/BB- | n/a | n/a |
| MFO Crystal | GEL | 25 | TIBR6M + 4.75% | Dec-22 | Feb-25 | B-/-/-/- | n/a | n/a |
| MFO Rico Express | GEL | 130 | TIBR1D + 2.00% | Mar-23 | Mar-26 | -/-/-/B+ | n/a | n/a |
| TBC Leasing | GEL | 100 | TIBR3M + 3.00% | Mar-23 | Mar-26 | BB/-/-/- | n/a | n/a |
| TBC Leasing | GEL | 15 | TIBR3M + 2.75% | Jun-23 | Jun-26 | BB/-/-/- | n/a | n/a |
| Tegeta Motors | GEL | 20 | TIBR6M + 3.50% | Jun-23 | Dec-25 | -/-/-/BB- | n/a | n/a |
| Tegeta Motors | GEL | 20 | 14.5% | Dec-23 | Dec-25 | -/-/-/BB- | n/a | n/a |
| Cellfie | GEL | 65 | TIBR6M + 3.50% | Dec-23 | Dec-25 | -/-/-/BB- | n/a | n/a |
| Tegeta Motors | GEL | 10 | 13.50% | Jul-24 | Jul-26 | -/-/-/BB- | n/a | n/a |
| Tegeta Motors | GEL | 15 | 13.50% | Aug-24 | Aug-26 | -/-/-/BB- | n/a | n/a |
| Nikora Trade | GEL | 35 | TIBR3M + 3.50% | Nov-21 | Nov-24 | -/-/-/BB- | n/a | n/a |

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი




ობლიგაციები

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)




წყარო: Bloomberg

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი



წყარო: გალტი & თაგარტი

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი სექტორების მიხედვით




წყარო: გალტი & თაგარტი



აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 40.85

ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.74% წინა კვირასთან შედარებით და +2.00% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 175 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 40.05 - 42.00 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 48 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)




წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 28.25

ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.53% წინა კვირასთან შედარებით და +1.62% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 163 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 27.95 - 29.15 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 39 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 10.10

ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +4.45% წინა კვირასთან შედარებით და +6.09% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 490 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 9.61 - 10.20 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 118 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

| | ტიკერი | ვალუტა | აქციის ფასი | კაპიტალიზაცია | 6 თვე, % | წ/წ ცვლ. | წლის დას. | P/E | | | P/B | | |
|--------------------|--------|--------|-------------|---------------|----------|----------|-----------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| | | | | | | | | 2023 | 2024F | 2025F | 2023 | 2024F | 2025F |
| Bank of Georgia | BGEO | GBP | 40.85 | 1,862 | -20.4% | 17.6% | 2.8% | 4.36x | 3.67x | 3.73x | 1.19x | na | na |
| TBC | TBC | GBP | 28.25 | 1,565 | -12.8% | 3.5% | -0.2% | 4.78x | 4.52x | 3.84x | 1.15x | na | na |
| Halyk Bank | HSBK | USD | 16.32 | 4,451 | -7.5% | 19.6% | 7.7% | 2.57x | 2.60x | 2.46x | 0.72x | na | na |
| Akbank | AKBNK | TRY | 56.60 | 294,320 | 35.4% | 94.2% | 55.0% | 2.86x | 4.35x | 2.75x | 0.90x | 1.13x | 0.80x |
| Garanti | GARAN | TRY | 111.00 | 466,200 | 75.5% | 125.8% | 90.2% | 2.84x | 4.73x | 3.20x | 1.00x | 1.43x | 0.96x |
| Isbank | ISCTR | TRY | 12.86 | 321,500 | 21.3% | 49.3% | 37.6% | 3.23x | 3.51x | 2.21x | 0.87x | 0.96x | 0.66x |
| PKO | PKO | PLN | 57.18 | 71,475 | 1.6% | 61.8% | 13.6% | 11.44x | 6.56x | 6.49x | 1.39x | 1.43x | 1.31x |
| PEKAO | PEO | PLN | 151.95 | 39,882 | -13.7% | 51.4% | -0.1% | 6.07x | 6.22x | 6.65x | 1.32x | 1.27x | 1.20x |
| Millennium | MIL | PLN | 9.05 | 10,978 | -13.4% | 63.1% | 8.3% | 17.78x | 4.03x | 4.52x | 1.47x | 1.41x | 1.23x |
| Mbank | MBK | PLN | 638.80 | 27,127 | -10.7% | 56.9% | 19.4% | na | 6.25x | 5.98x | 1.65x | 1.79x | 1.36x |
| BRD | BRD | RON | 20.20 | 14,077 | 3.6% | 35.6% | 12.7% | 7.62x | 9.65x | 9.86x | 1.42x | 1.48x | 1.38x |
| Banca Transilvania | TLV | RON | 27.55 | 22,003 | 17.5% | 38.7% | 30.4% | 7.76x | 6.66x | 6.71x | 1.82x | 1.56x | 1.60x |
| Komercni | KOMB | CZK | 763.50 | 145,103 | -5.9% | 12.5% | 5.4% | 8.76x | 9.37x | 9.27x | 1.09x | 1.16x | 1.16x |
| Mean | | | | | | | | 6.67x | 5.55x | 5.21x | 1.23x | 1.36x | 1.17x |
| Median | | | | | | | | 5.43x | 4.73x | 4.52x | 1.19x | 1.42x | 1.22x |

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმე ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მფლობელი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიერ იქნება სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირებლობის ან დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაკეთდება რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევეს, ამ დოკუმენტის სარგებლობასთან დაკავშირებით, რომელიც საჭიროებს პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქალაქის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევები: research@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4298)
საბროკერი: sales@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4132)
საინვესტიციო-საბანკო მიმართულება: ib@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (7457)

გალტ & თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111